

სამაგისტრო პროგრამა „თარგმანი და კულტურათშორისი ურთიერთობები  
(ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე)“

**MA PROGRAM “TRANSLATION AND INTERCULTURAL STUDIES (BASED ON GEORGIAN  
AND ENGLISH LANGUAGES)”**

**კატალოგი  
CATALOGUE**

**თარგმანის ლინგვისტიკა 1.**

**Linguistics of Translation 1.**

კურსის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის თარგმანის ლინგვისტიკის ძირითად მიმართულებებს. მაგისტრანტი გაეცნობა ტექსტისა და თარგმანის ანალიზის თანამედროვე მეთოდოლოგიას, რათა წარმატებით გამოიყენოს შექმნილი ცოდნა საკუთარ თეორიულ და პრაქტიკულ მთარგმნელობით საქმიანობაში. აითვისებს თარგმანის ლინგვისტიკის თანამედროვე კონცეფციებს. კურსის გავლის შემდეგ შეძლებს თარგმანმცოდნეობის, თარგმანის ლინგვისტიკისა და მათი მომიჯნავე დისციპლინების მეთოდოლოგიის გამოყენებას მთარგმნელობით საქმიანობასა და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობაში. შეძლებს ტექნიკურად, ენობრივად, სტილისტურად და შინაარსობრივად გამართული თარგმანის ტექსტის შექმნას.

**თარგმანის ლინგვისტიკა 2.**

**Linguistics of Translation 2.**

სალექციო კურსის ფარგლებში მაგისტრანტი შეისწავლის თარგმანის ლინგვისტიკის ძირითად მიმართულებებს, გაეცნობა ტექსტისა და თარგმანის ანალიზის თანამედროვე მეთოდოლოგიას შექმნილი ცოდნის საკუთარ თეორიულ და პრაქტიკულ მთარგმნელობით საქმიანობაში გამოყენების მიზნით. შეისწავლის თარგმანის ლინგვისტიკის თანამედროვე კონცეფციებს. კურსის გავლის შემდეგ შეძლებს თარგმანმცოდნეობის, თარგმანის ლინგვისტიკისა და მათი მომიჯნავე დისციპლინების მეთოდოლოგიის გამოყენებას მთარგმნელობით საქმიანობასა და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობაში, ტექნიკურად, ენობრივად, სტილისტურად და შინაარსობრივად გამართული თარგმანის ტექსტის შექმნას.

ინგლისური რომანტიზმი და მისი აღქმა საქართველოში (ინგლისურ ენაზე).

### **English Romanticism and its Reception in Georgia (in English language).**

კურსის შინაარსი გულისხმობს მაგისტრანტებისათვის ინგლისური რომანტიზმისა და საქართველოზე მისი გავლენის სწავლებას, ინგლისური რომანტიზმის ანალიზსა და გააზრებას ეროვნულ ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებით.

თარგმანი, როგორც კულტურათა დიალოგი.

### **Translation As A Dialogue Of Cultures.**

სალექციო კურსის მიზანია გააცნოს და შეასწავლოს მაგისტრანტს თარგმანის, როგორც სხვადასხვა ერის კულტურათა დამაკავშირებელი ლიტერატურული მოვლენის, ღირებულება და დანიშნულება. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს გამოუმუშავდება თარგმანის, როგორც კულტურათა დიალოგის შეფასებისას პროფესიული ანალიზისა და შეფასების უნარი სათანადო ღირებულები დასკვნების გამოტანის მიზნით.

ქართული თარგმანის ისტორია.

### **History of Georgian Literary Translation.**

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ქართული თარგმანის ისტორიასა და ცალკეული გამოჩენილი მთარგმნელების შემოქმედებას, ქართული თარგმანის ისტორიულ ფესვებს, ქართული თარგმანის კვლევის ისტორიას, თარგმანის შეფასების კრიტერიუმებს, ქართული პოეტური თარგმანის განვითარების ტენდენციებს, პროზის თარგმანის განვითარების ტენდენციებს, ევროპეიზმის დამკვიდრების პროცესს, ქართული თარგმანის პანორამას. სტუდენტს გამოუმუშავდება ქართული თარგმანის შეფასებისას პროფესიული ანალიზისა და შეფასების უნარი სათანადო ღირებულები დასკვნების გამოტანის მიზნით.

ინგლისური ენა და თარგმანი 1.

### **English Language and Translation 1.**

კურსის მიზანია გააუმჯობესოს ინგლისური ენის დონე, რომელიც ითვალისწინებს მეტყველების, კითხვის, პრაქტიკული გრამატიკისა და წერის უნარებს. გარდა ამისა, კურსის სწავლება საფუძველს ჩაუყრის მომავალი მთარგმნელის მომზადებას,

რადგან მათ საქმე ექნებათ ტექსტის თარგმნასთან ინგლისურიდან ქართულად ან პირიქით. კურსი აგრეთვე ითვალისწინებს ცნობილი ავტორების ნაწარმოებების კითხვასა და შესწავლას.

კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტს ეცოდინება სალიტერატურო და ყოველდღიური სალაპარაკო ენის ფუნქციონალური თავისებურებები, ფონური ინფორმაცია, რომელიც ინგლისურად მეტყველებას უწყობს ხელს. გამოუმუშავდება ტექნიკურად, სტილისტურად და შინაარსობრივად გამართული სამეცნიერო ნაშრომის წერისა და პრეზენტაციის უნარი. კითხვა (კითხვებზე პასუხის გაცემის, წაკითხულის ზეპირად გადმოცემის, თარგმნის უნარი). სმენითი და მეტყველებითი კულტურა (ახსნა, გარკვევა, არგუმენტირება, დასკვნა, მოვლენათა შეფასება, კითხვები, შეპირისპირება, შედარება, შეკამათება).

### **ინგლისური ენა და თარგმანი 2.**

#### **English Language and Translation 2.**

კურსის მიზანია გააუმჯობესოს ინგლისური ენის დონე, რომელიც ითვალისწინებს მეტყველების, კითხვის, პრაქტიკული გრამატიკისა და წერის უნარებს. გარდა ამისა, კურსის სწავლება საფუძველს ჩაუყრის მომავალი მთარგმნელის მომზადებას, რადგან მათ საქმე ექნებათ ტექსტის თარგმნასთან ინგლისურიდან ქართულად ან პირიქით. კურსი აგრეთვე ითვალისწინებს ცნობილი ავტორების ნაწარმოებების კითხვასა და შესწავლას.

კურსის მაგისტრანტების შეასწავლის სალიტერატურო და ყოველდღიური სალაპარაკო ენის ფუნქციონალურ თავისებურებებს, ფონურ ინფორმაციას, რომელიც ინგლისურად მეტყველებას უწყობს ხელს. მაგისტრანტებს გამოუმუშავდებათ ტექნიკურად, სტილისტურად და შინაარსობრივად გამართული სამეცნიერო ნაშრომის წერისა და პრეზენტაციის უნარი. კითხვა (კითხვებზე პასუხის გაცემის, წაკითხულის ზეპირად გადმოცემის, თარგმნის უნარი). სმენითი და მეტყველებითი კულტურა (ახსნა, გარკვევა, არგუმენტირება, დასკვნა, მოვლენათა შეფასება, კითხვები, შეპირისპირება, შედარება, შეკამათება).

### **ინგლისური ენა და თარგმანი 3.**

#### **English Language and Translation 3.**

კურსის მიზანია გააუმჯობესოს ინგლისური ენის დონე, რომელიც ითვალისწინებს მეტყველების, კითხვის, პრაქტიკული გრამატიკისა და წერის უნარებს. გარდა ამისა,

კურსის სწავლება საფუძველს ჩაუყრის მომავალი მთარგმნელის მომზადებას, რადგან მათ საქმე ექნებათ ტექსტის თარგმნასთან ინგლისურიდან ქართულად ან პირიქით. კურსი აგრეთვე ითვალისწინებს ცნობილი ავტორების ნაწარმოებების კითხვასა და შესწავლას.

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან სალიტერატურო და ყოველდღიური სალაპარაკო ენის ფუნქციონალურ თავისებურებებს, მიიღებენ ფონურ ინფორმაციას, რომელიც ინგლისურად მეტყველებას უწყობს ხელს. გამოუმუშავდებათ ტექნიკურად, სტილისტურად და შინაარსობრივად გამართული სამეცნიერო ნაშრომის წერისა და პრეზენტაციის უნარი. კითხვა (კითხვებზე პასუხის გაცემის, წაკითხულის ზეპირად გადმოცემის, თარგმნის უნარი). სმენითი და მეტყველებითი კულტურა (ახსნა, გარკვევა, არგუმენტირება, დასკვნა, მოვლენათა შეფასება, კითხვები, შეპირისპირება, შედარება, შეკამათება).

### **მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი 1.**

#### **Translation and Analysis of Massmedia and Political Texts 1.**

კურსის ფარგლებში მაგისტრანტს გამოუმუშავდება მაღალი მთარგმნელობითი ჩვევები მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის თარგმანის თვალსაზრისით ინგლისურიდან ქართულად და ქართულიდან ინგლისურად. მომავალი მთარგმნელები შეიძენენ ისეთ ლინგვისტურ ცოდნას, რომელიც უზრუნველყოფს ქართული ენობრივი ნორმების დაცვასა და ენის შესაბამის განვითარებას. ამავე დროს, კურსი სტუდენტებს მისცემს ინგლისური ენის საჭირო ცოდნას, რაც ხელს შეუწყობს მათ დაოსტატებას თარგმანში. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს პოლიტიკური და მედიატერმინოლოგიის საკუთარი ლექსიკონის შექმნას და განუვითარდება საგაზეთო მასალის წვდომის უნარი. გაიფართოვებს ლექსიკურ მარაგს, შეძლებს საგაზეთო სათაურების, ფუნდამენტური პოლიტიკური სტატიების, უცხოელ ავტორთა პოლიტიკური წიგნებიდან ამონარიდების გაგებასა და თარგმნას.

### **მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი 2.**

#### **Translation and Analysis of Massmedia and Political Texts 2.**

კურსის ფარგლებში მაგისტრანტს გამოუმუშავდება მაღალი მთარგმნელობითი ჩვევები მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის თარგმანის თვალსაზრისით ინგლისურიდან ქართულად და ქართულიდან ინგლისურად. მომავალი მთარგმნელები შეიძენენ ისეთ ლინგვისტურ ცოდნას, რომელიც უზრუნველყოფს ქართული ენობრივი ნორმების დაცვასა და ენის შესაბამის განვითარებას. ამავე

დროს, კურსი სტუდენტებს მისცემს ინგლისური ენის საჭირო ცოდნას, რაც ხელს შეუწყობს მათ დაოსტატებას თარგმანში. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს პოლიტიკური და მედიატერმინოლოგიის საკუთარი ლექსიკონის შექმნას და განუვითარდება საგაზეთო მასალის წვდომის უნარი. გაიფართოვებს ლექსიკურ მარაგს, შეძლებს საგაზეთო სათაურების, ფუნდამენტური პოლიტიკური სტატიების, უცხოელ ავტორთა პოლიტიკური წიგნებიდან ამიონარიდების გაგებასა და თარგმნას.

### **მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი 3.**

#### **Translation and Analysis of Massmedia and Political Texts 3.**

კურსის ფარგლებში მაგისტრანტს გამოუმუშავდება მაღალი მთარგმნელობითი ჩვევები მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის თარგმანის თვალსაზრისით ინგლისურიდან ქართულად და ქართულიდან ინგლისურად. მომავალი მთარგმნელები შეიძენენ ისეთ ლინგვისტურ ცოდნას, რომელიც უზრუნველყოფს ქართული ენობრივი ნორმების დაცვასა და ენის შესაბამის განვითარებას. ამავე დროს, კურსი სტუდენტებს მისცემს ინგლისური ენის საჭირო ცოდნას, რაც ხელს შეუწყობს მათ დაოსტატებას თარგმანში. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს პოლიტიკური და მედიატერმინოლოგიის საკუთარი ლექსიკონის შექმნას და განუვითარდება საგაზეთო მასალის წვდომის უნარი. გაიფართოვებს ლექსიკურ მარაგს, შეძლებს საგაზეთო სათაურების, ფუნდამენტური პოლიტიკური სტატიების, უცხოელ ავტორთა პოლიტიკური წიგნებიდან ამიონარიდების გაგებასა და თარგმნას. გამოუმუშავდება თარგმანის პროცესში სხვადასხვა ვარიანტის ძიების უნარი, პოლიტიკური ტექსტების წვდომა.

**აკადემიური ტექსტის (ფილოლოგია, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და სხვა) თარგმანი**

**Translation of Academic Texts (philology, history, art criticism, philosophy, psychology, sociology, etc.)**

კურსის ფარგლებში სტუდენტი დაეუფლება აკადემიური ტექსტის ინტერპრეტაციასა და მისი თარგმნის ხერხებს. მაგისტრანტები დაეუფლებიან თარგმანმცოდნეობის, თარგმანის ლინგვისტიკისა და მათი მომიჯნავე დისციპლინების მეთოდოლოგიის გამოყენებას მთარგმნელობით საქმიანობასა და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობაში, ტექნიკურად, ენობრივად, სტილისტურად და შინაარსობრივად გამართული თარგმანის ტექსტის შექმნას.

ინგლისური ტრაგიკომედია და „ვეფხისტყაოსანი“.

### **English Tragicomedy And “The Man in The Panther Skin”.**

მაგისტრანტები შეისწავლიან „ვეფხისტყაოსნის“ მიმართებას ინგლისური ტრაგიკომედიის სიუჟეტის მატარებელ პიესებთან. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები შეძლებენ შუა საუკუნეების ქართული და ინგლისური ლიტერატურის შეპირისპირებას, გამოიმუშავენ ანალიზისა და სინთეზის უნარს.

### **საქართველო და ქართული მწერლობა დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში Georgia and the Georgian Writing in the West European Literature**

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან ვროპულ და, საზოგადოდ, მთელ საზღვარგარეთულ მეცნიერებაში დამუშავებული ქართული ლიტერატურის პრობლემებს, ქართული ლიტერატურის გაცნობისა და მისი შესწავლის პროცესებს ევროპაში, ქართული ლიტერატურის შესწავლისა და დამუშავების ძირითად ცენტრებს საზღვარგარეთ, საზღვარგარეთელ ქართველოლოგებსა და მათ წვლილს ქართული ლიტერატურის შესწავლასა და პოპულარიზაციაში.

**თანმიმდევრული თარგმანი 1.**

#### **Consecutive Translation 1.**

მაგისტრანტს გამოუმუშავდება თანმიმდევრული თარგმანის უნარ-ჩვევები ინგლისურიდან ქართულად და ქართულიდან ინგლისურად; თარგმანმცოდნისა და მთარგმნელის უნარი, შემოქმედებითი კონტაქტი დაამყაროს კოლეგებთან პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. თარგმანისადმი შემოქმედებითი მიდგომის, კრიტიკის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიაში მონაწილეობის, საკუთარი მოსაზრების არგუმენტირების, რეზიუმირების უნარი.

**თანმიმდევრული თარგმანი 2.**

#### **Consecutive Translation 2.**

მაგისტრანტს გამოუმუშავდება თანმიმდევრული თარგმანის უნარ-ჩვევები ინგლისურიდან ქართულად და ქართულიდან ინგლისურად; თარგმანმცოდნისა და მთარგმნელის უნარი, შემოქმედებითი კონტაქტი დაამყაროს კოლეგებთან პროფესიული განვითარების თვალსაზრისით. თარგმანისადმი შემოქმედებითი

მიდგომის, კრიტიკის, ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიაში მონაწილეობის, საკუთარი მოსაზრების არგუმენტირების, რეზიუმირების უნარი.

### **შეპირისპირებითი ანალიზი და მხატვრული თარგმანის პრაქტიკული კურსი 1.**

#### **Practical Course of Comparative Analysis of Literary Translation 1.**

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები დაეუფლებიან მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციისა და მისი თარგმანის ანალიზს, დაოსტატდებიან თარგმანის კრიტიკაში. შეძლებენ თარგმანმცოდნეობის, თარგმანის ლინგვისტიკისა და მათი მომიჯნავე დისციპლინების გამოყენებას სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისას.

### **შეპირისპირებითი ანალიზი და მხატვრული თარგმანის პრაქტიკული კურსი 2.**

#### **Practical Course of Comparative Analysis of Literary Translation 2.**

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები დაეუფლებიან მხატვრული ტექსტის ინტერპრეტაციისა და მისი თარგმანის ანალიზს, დაოსტატდებიან თარგმანის კრიტიკაში. შეძლებენ თარგმანმცოდნეობის, თარგმანის ლინგვისტიკისა და მათი მომიჯნავე დისციპლინების გამოყენებას სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისას.

### **ინგლისის კულტურა და ისტორია.**

#### **English Culture and History.**

სალექციო კურსი მაგისტრანტებს შეასწავლის ბრიტანეთის კულტურასა და ისტორიას, რათა ეს ყველაფერი მთარგმნელმა გამოიყენოს ქართული და ბრიტანული კულტურების ურთიერთობათა გაცნობისა და გააზრების თვალსაზრისით. განვლილი კურსის შედეგად სტუდენტს უვითარდება კვლევისა და ანალიზის სათანადო ჩვევები, რაც ეხმარება მას თარგმანი, როგორც ლიტერატურული მოვლენა, დამოუკიდებლად განიხილოს კულტურათა დიალოგის ასპექტში.

### **იურიდიული ტექსტის თარგმანის პრაქტიკული კურსი.**

#### **Practical Course In Legal Translation.**

კურსის ფარგლებში განსაზღვრულია იურიდიული ტექსტების/დოკუმენტების სწორი ინტერპრეტაციის, ასევე მათი სპეციფიკისა და სათანადო ტერმინოლოგიის

მშობლიურ და უცხო ენებზე დაუფლების გზით ადეკვატური თარგმანების შექმნაში დაოსტატება.

### **რუსული ენა და თარგმანი 1.**

#### **Russian Language and Translation 1.**

სალექციო კურსის ფარგლებში განსაზღვრულია მაგისტრანტებისათვის რუსული მეტყველების (ლექსიკური მარაგის გამდიდრება), წერის, კითხვის, კულტუროლოგიური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავება. სტუდენტები, აგრეთვე, შეისწავლიან ენათმეცნიერების, რუსული ენის, თარგმანმცოდნეობის, თარგმანის ლინგვისტიკისა და მათი მომიჯნავე დისციპლინების გამოყენებას სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისას. შეძლებენ ტექნიკურად, ენობრივად, სტილისტურად და შინაარსობრივად გამართულ მეტყველებასა და წერას.

### **რუსული ენა და თარგმანი 2.**

#### **Russian Language and Translation 2.**

სალექციო კურსის ფარგლებში განსაზღვრულია მაგისტრანტებისათვის რუსული მეტყველების (ლექსიკური მარაგის გამდიდრება), წერის, კითხვის, კულტუროლოგიური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გამომუშავება. სტუდენტები, აგრეთვე, შეისწავლიან ენათმეცნიერების, რუსული ენის, თარგმანმცოდნეობის, თარგმანის ლინგვისტიკისა და მათი მომიჯნავე დისციპლინების გამოყენებას სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისას. შეძლებენ ტექნიკურად, ენობრივად, სტილისტურად და შინაარსობრივად გამართულ მეტყველებასა და წერას.

### **ქართული ლიტერატურული რეალიზმის ძირითადი პრობლემები (XIX ს.).**

#### **Basic Problems of Georgian Literary Realism (XIX century).**

კურსის ფარგლებში განსაზღვრულია, რომ მაგისტრანტებს სიღრმისეულად შეასწავლოს რეალიზმის არსი, მისი ნაირსახეობები და გამოვლენის ფორმები ქართულ ლიტერატურაში; ქართული რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მოვლენის, ეროვნული სპეციფიკა, მისი სოციალური და კულტურულ-ლიტერატურული გენეზისი. სალექციო კურსში წარმონხდება ამ მიმართულების ადგილი რეალიზმის ნაირსახეობათა (ფრანგული, გერმანული, ინგლისური, იტალიური, ამერიკული, რუსული) შორის. სალექციო კურსის მიხედვით მაგისტრანტებს მიეცემათ შესაძლებლობა საფუძვლიანი ცოდნა მიიღონ ქართული რეალიზმის ძირითად თავისებურებებზე, მოტივებსა და ჟანრებზე, მათ მიმართებაზე



ევრო-ამერიკულ და რუსულ რეალიზმთან. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს ეცოდინებათ ქართული რეალიზმის ძირითადი თავისებურებები, XIX საუკუნის ქართველ რეალისტთა მხატვრული და თეორიულ-კრიტიკული მემკვიდრეობა. ქართული რეალიზმის ფორმირება-განვითარების და ამ პრობლემაზე მომუშავე გამოჩენილ მკვლევარ-მოაზროვნეთა მოღვაწეობის არსებითი მომენტები, ექნებათ რეალიზმის ძირითად პრობლემატიკაზე მუშაობის მეცნიერული პრინციპების გამოყენების უნარი.

**ქართული ლიტერატურული რომანტიზმის ძირითადი პრობლემები (XIX ს.).**

### **Basic Problems of Georgian Literary Romanticism (XIX century).**

კურსის ფარგლებში განსაზღვრულია ქართული რომანტიზმის ძირითადი პრობლემების შესწავლა, რამაც სტუდენტს უნდა შეუქმნას საფუძვლიანი წარმოდგენა ქართული რომანტიზმის ზოგად კანონზომიერებებზე. უფრო თვალნათლივი წარმოდგენა უნდა შეუქმნას რომანტიზმის არსზე, მის საფუძვლებზე, მსოფლიოს სივრცეში მის ნაირსახეობებსა და კონკრეტულად მისი გამოვლენის სპეციფიკაზე ქართულ ლიტერატურაში. სტუდენტი შეისწავლის ქართული რომანტიზმის ისტორიას, როგორც ერთიან ლიტერატურულ პროცესს, ამ პროცესში ცალკეული მწერლის ადგილსა და მნიშვნელობას. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს ეცოდინება ლიტერატურული რომანტიზმის შესახებ ძირითადი მოსაზრებები, ქართული ლიტერატურული რომანტიზმის ძირითადი თავისებურებები. ექნება ქართული ლიტერატურული რომანტიზმის ძირითად პრობლემატიკაზე მუშაობის მეცნიერული პრინციპების გამოყენების უნარი.